



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 72
2023 წლის 16 მაისი
ქ. თბილისი

2023 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N173/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „2023 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2023 წლის 3 თებერვლის N12 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N543710, 16.05.2023) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2023 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირველი ლოტის რანჟირებული სია ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2023 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების ამ ბრძანების დანართის N2 -ის შესაბამისად.

3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2023 წლის 31 მაისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში (ფიზიკური სახით) უნდა წარმოადგინონ:


ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2023 წლის 15 ივნისისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი



დამტკიცებულია
 სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გენერალური დირექტორის
 2023 წლის 16 მაისის №72 ბრძანებით

2023 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის I ლოტის რანჟირებული სია				
N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ქულების ჯამი
1	BRG-I-23-363	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რადიოეკოლოგიური დახასიათება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
2	BRG-I-23-037	საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში გარდაზნის, ლაგოდებისა და საგარეჯოს მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხების შესწავლა.	ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის საზოგადოება	13
3	BRG-I-23-163	მწვანე ეკონომიკის განვითარების ტენდენციები: საზღვრისპირა რეგიონში (ლაგოდების მუნიციპალიტეტი) ზედაპირული წყლების ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი ხელოვნური ინტელექტისა (AI) და ნივთების ინტერნეტის (IoT) გამოყენებით.	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
4	BRG-I-23-208	თურქეთ - საქართველოს საზღვრის ეკონომიკური ანთროპოლოგია	სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	12
5	BRG-I-23-654	აღმოსავლეთ საქართველოს ტრანსსასაზღვრო მდ. მტკვრის აუზის წყლის რესურსების შეფასება და მართვა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	12
6	BRG-I-23-457	ვაზის ძირითადი ვირუსული დაავადებების (GLRaV-3, GFLV) კვლევა კახეთის რეგიონში და სარგავი მასალის სერტიფიცირების პროგრამის ხელშეწყობა.	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	12
7	BRG-I-23-763	საქართველოს საზღვრისპირა (ტრანსსასაზღვრო) რეგიონების დიდი მყინვარების დეგრადაციის შესწავლა რეგიონული კლიმატური ცვლილებების ფონზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
8	BRG-I-23-245	რადონის რადიაციული გამოსხივების კვლევა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე (საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზონა)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12

9	BRG-I-23-364	საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციალური ვითარების გეოინფორმაციული სისტემა და ანალიზი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
10	BRG-I-23-1338	ჯავახეთის მონოფიზიკური ძეგლები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
11	BRG-I-23-077	საქართველო-სომხეთის სასაზღვრო ურთიერთობები და სახელმწიფო საზღვრის მდგომარეობის დინამიკა - კომპლექსური კვლევა/ანალიზი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
12	BRG-I-23-728	მდ. ალაზნის კალაპოტის მორფოდინამიკის ანალიზი (მოდელირება და ემპირიული კვლევა)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
13	BRG-I-23-076	მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება აჭარის საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	12
14	BRG-I-23-131	დასავლეთ საქართველოს საზღვრისპირა აჭარის რეგიონში ციტრუსოვანი კულტურების მავნე ენტომოფაუნის შესწავლა	სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	12
15	BRG-I-23-1121	გარეჯის უდაბნოს კულტურის ძეგლების პასპორტიზაცია, სამეცნიერო გზამკვლევის და არქიტექტურული რუკის შექმნა	საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი	12
16	BRG-I-23-381	კარტოფილის ფიტოფტოროზის გამომწვევი ფიტოპათოგენური სოკოს - <i>Phytophthora infestans</i> ბიოკონტროლი აქტინომიცეტ-ანტაგონისტების გამოყენებით	სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	12
17	BRG-I-23-153	მესხური ტრადიციული ნაგებობა - ინტერდისციპლინური კვლევა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
18	BRG-I-23-262	მძიმე მეტალების (Mn,Co,Ni,Cu,Zn,As,Cd, Pb) მიგრაციის ფორმები მაშავერა-ხრამი - მტკვრის აუზის მდინარეებში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
19	BRG-I-23-164	სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტრანსსასაზღვრო მუნიციპალიტეტების ტერიტორიის ზონირება საშიში ბუნებრივი მოვლენების მიხედვით არსებული ინფრასტრუქტურის, კულტურული თუ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დაცვის და ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
20	BRG-I-23-760	კავკასიონის საზღვრისპირა რეგიონების ჰიდროლოგიური სტიქიური მოვლენები - რისკები და პრევენცია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	11

21	BRG-I-23-1480	ტრადიციული მესხური ტენილი ყველის ტექნოლოგია	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	11
22	BRG-I-23-1308	საქართველოს საზღვრისპირა მთიანი რეგიონების პრობლემები, აღმოფხვრის გზები, განვითარება და პერსპექტივები.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	11
23	BRG-I-23-038	აჭარის ავტონომია: მითი და რეალობა (ისტორიულ-პოლიტიკური და სამართლებრივი ანალიზი)	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11
24	BRG-I-23-842	საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭე და გლობალური კრიზისები: პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა სასაზღვრო რეგიონზე (ტურიზმი და სტუმარმასპინძლობის ტრადიციები)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11
25	BRG-I-23-1556	საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრისპირა ზონის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფორმირებული წყალდიდობებისა და ღვარცოფების რისკების კვლევა მდინარე კაბალის მაგალითზე	გარემოს დაცვის ეკოცენტრი	11
26	BRG-I-23-425	საზღვრისპირა რეგიონებში არსებული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა სამრეწველო აფეთქებების მავნე ზემოქმედებიდან	სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	11
27	BRG-I-23-1089	საზღვრისპირა გარდაბნის მუნიციპალიტეტში ტრანსაზღვრო მდინარე მტკვრის წყლების გამოყენების ეკონომიკური საფუძვლები	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10
28	BRG-I-23-244	ადგილობრივი თვითმმართველობის ფემინიზაციის ლოკალური ანალიზი აჭარის მაღალმთიანი საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების მაგალითზე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10
29	BRG-I-23-709	მარნეულის მუნიციპალიტეტის ინტეგრალური რესურსების მართვის ოპტიმიზაცია - ქვეყნის საზღვრისპირა ტერიტორიების მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10
30	BRG-I-23-334	საქართველოს საზღვრისპირა მოსახლეობის ეროვნული იდენტობა (აჭარის მაგალითზე) (1991-2012)	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10
31	BRG-I-23-1361	საზღვრისპირა ხევსურეთში ღვარცოფთა რისკებით გამოწვეული საფრთხეები	გარემოს დაცვის ეკოცენტრი	10
32	BRG-I-23-991	თუშეთის საფორთიფიკაციო ნაგებობების, როგორც საზღვრისპირა თავდაცვის სისტემის კომპლექსური კვლევა	საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი	10

33	BRG-I-23-570	ეთნოისტორიული პროცესები რუსეთის ფედერაციასთან მოსაზღვრე რეგიონში (დაღესტნის მონაკვეთი)	კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	10
34	BRG-I-23-1042	აზერბაიჯანის საზღვრისპირა ალაზნის ველის დამლაშებული ნიადაგების კვლევა	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	3

დამტკიცებულია
 სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გენერალური დირექტორის
 2023 წლის 16 მაისის №72 ბრძანებით

**2023 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების
 ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის
 I ლოტის გამარჯვებული პროექტები**

N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	BRG-I-23-363	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის რადიოეკოლოგიური დახასიათება	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	BRG-I-23-037	საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში გარდაზნის, ლაგოდებისა და საგარეჯოს მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების საკითხების შესწავლა.	ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობის საზოგადოება